დეკანის ბრძანება №3/2015

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებისათვის წინასწარი აკადემიური რეგისტრაციის გავლის შესახებ

1. ჩატარდეს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე 2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის წინასწარი აკადემიური რეგისტრაცია რექტორის 2015 წლის 21 იანვრის №11/01-01 ბრძანების საფუძველზე.
2. დაევალოს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს 2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის წინასწარი აკადემიური რეგისტრაციისთვის აუცილებელი სასწავლო ცხრილის ფორმირება და შესაბამის სტუდენტურ მონაცემთა ბაზაში შეტანა.
3. უფლება მიეცეს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკლავრიატის საგანამანთლებლო პროგრამის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებს წინასწარი აკადემიური რეგისტრაციის გავლა, რაც გულისხმობს შემდეგს:
   3.1. წინასწარი აკადემიური რეგისტრაციის მონაცემთა ბაზაში საგნების არჩევას 2014-2015 წლის გაზაფხულის სემესტრისთვის 26.01.2015 – 04.02.2015 პერიოდში;
   3.2. კონსულტაციის გავლას სასწავლო პროცესის მართვის სპეციალისტთან და წინასწარი აკადემიური რეგისტრაციის არჩევანის საბოლოო სახით ჩამოყალიბებას 05.02.2014 – 17.02.2015 პერიოდში;
   3.3. სასწავლო პროცესის მართვის სპეციალისტთან შეთანხმებული წინასწარი აკადემიური რეგისტრაციის შედეგების ხელმოწერით დადასტურებას;
   3.4. ინდივიდუალური სასწავლო ცხრილის ფორმირებას წინასწარი აკადემიური რეგისტრაციის მონაცემთა ბაზაში.
4. დაევალოს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს უზრუნველყოს:
   4.1. წინასწარი აკადემიური რეგისტრაციის ჩატარება;
   4.2. წინასწარი აკადემიური რეგისტრაციის შესახებ ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისთვის;
   4.3. სტუდენტების კონსულტირება, დასარეგისტრირებელი საგნების შეთანხმება და საბოლოო სახით ჩამოყალიბება;
5. თსუ საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტთან შეთანხმებით სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა უზრუნველყოს:
   5.1. წინაპირობის შესრულების შემთხვევაში სტუდენტებისთვის შესაბამისი საგნების გადატანა სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში შეფასებების ასახვის შემდეგ;
   5.2. სტუდენტის მიერ წინაპირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში წინასწარი აკადემიური რეგისტრაციის შედეგის გაუქმება საგამოცდო სასესიო პერიოდის დასრულების შემდეგ;
   5.3. დადგენილ ვადაში სტუდენტის მიერ ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვერ/არ გავლის შემთხვევაში წინასწარი აკადემიური რეგისტრაციის შედეგის გაუქმება.
6. საგანზე სტუდენტის დარეგისტრირებისას პრიორიტეტულად გათვალისწინებული იქნეს:
   6.1. რესურსის ხელმისაწვდომობა;
   6.2. სტუდენტის სემესტრი – თუ რამდენად აუცილებელია საგნის მოსმენა კვალიფიკაციის მინიჭებისთვის ;

6.3. გამოიწვევს თუ არა მიმდინარე სემესტრში მოთხოვნილ საგანზე სტუდენტის არ დარეგისტრირება მის მიერ დამატებითი სემესტრის აღების აუცილებლობას სწავლის დასასრულებლად;

6.4. სტუდენტის აკადემიური მოსწრება.

7. წინასწარი აკადემიური რეგისტრაციის შედეგების დაზუსტება შესაძლებელია მისი განუხორციელებლობის შემთხვევაში, მაგალითად როცა სტუდენტმა ვერ შეასრულა არჩეული საგნების წინაპირობა.

8. სტუდენტი დარჩენილი რესურსის ფარგლებში აკადემიურ რეგისტრაციას გაივლის, თუ:

8.1. დადგენილ ვადებში ვერ/არ დააფიქსირებს თავის არჩევანს წინასწარი აკადემიური რეგისტრაციისთვის განკუთვნილ მონაცემთა ბაზაში;

8.2. დადგენილ ვადებში ვერ/არ გაივლის კონსულტაციას სასწავლო პროცესის მართვის სპეციალისტთან და ვერ/არ მოხდება საბოლოო შეთანხმება დასარეგისტრირებელი საგნების შესახებ;

8.3. ვერ/არ გაივლის ადმინისტრაციულ რეგისტრაციას დადგენილ ვადებში;

8.4. ვერ შეასრულებს რომელიმე არჩეული საგნის წინაპირობას,

9. წინასწარი აკადემიური რეგისტრაციის შედეგების სრულყოფილად გათვალისწინების მიზნით დაევალოს დეკანის მოადგილეს საგანმანათლებლო-სამეცნიერო სფეროს მიმართულებით თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტთან და თსუ საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტთან შეთანხმებით უზრუნველყოს აკადემიური რეგისტრაციის საწყის ეტაპზე აკადემიური რეგისტრაციის დაწყების საათების გამოყოფა სტუდენტებისთვის წინასწარი რეგისტრაციის გავლის და არ გავლის გათვალისწინებით.

რამაზ ბოჭორიშვილი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი

26.01.2015